7 სექტემბერი

სუფთა ჰაერის საერთაშორისო დღე ლურჯი ცისთვის

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

ჯანმო-ს მონაცემებით, თითქმის ყველა ადამიანი (გლობალური მოსახლეობის 99%) დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს. ჰაერის დაბინძურება საფრთხეს უქმნის ადამიანის, ცხოველისა თუ მცენარის ჯანმრთელობას და იწვევს არაერთ დაავადებას. აუცილებელია, თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი წვლილი შეიტანოს ჰაერის გაწმენდასა და ჯანმრთელობის დაცვაში; ყველას უნდა შეეძლოს, ისარგებლოს უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოთი. სუფთა ჰაერით სარგებლობის უფლება განუყოფელია ადამიანის უფლებების ფართო სპექტრისგან. 2019 წლის 26 ნოემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის მეორე კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, 7 სექტემბერს აღინიშნება „სუფთა ჰაერის საერთაშორისო დღე ლურჯი ცისთვის“.

- რა შეიძლება მოვიმოქმედოთ, რათა თავიდან ავირიდოთ ჰაერის დაბინძურება?
- რატომაა აუცილებელი გარემოსა და ჰაერის ხარისხზე ზრუნვა?
- რა უარყოფითი ეფექტები შეიძლება გამოიწვიოს ჰაერის დაბინძურებამ?

აქტივობის თემა: საგზაო ნიშნები ლურჯი ცისათვის

მიზანი: მოსწავლეები გაიაზრებენ სუფთა ჰაერისთვის გარემოს შექმნის აუცილებლობას

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: A4 ფორმატის მუყაოს (საშუალო სისქის) ქაღალდები, ფერადი ფლომასტერები/ფანქრები (შესაძლებელია კომპიუტერულ პროგრამაში აწყობაც)

აქტივობის შინაარსი: მასწავლებლის მითითებით, ჯგუფებმა უნდა შექმნან ამკრძალავი ნიშნები ჰაერის უსაფრთხოებისათვის. ჯგუფები ესკიზების სახით წარმოადგენენ ნიშნებს და გამოფენენ საკლასო სივრცეში. **მინიშნება:** ამკრძალავი ნიშანი შეიძლება იყოს საგზაო უსაფრთხოების ნიშნების ფორმისა და ფერების (მაგ.: ავტომანქანის მაყუჩიდან გამომავალი კვამლი). წითელი, როგორც წესი, გამოყენებული იქნება, როგორც ამკრძალავი ფერი. სხვა ფერების გამოყენება შეიძლება შეთანხმებით, ჯგუფების ინდივიდუალური გადაწყვეტილებით.

წიგნიერების საერთაშორისო დღე

8 სექტემბერი

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

წიგნიერების საერთაშორისო დღე მთელი მსოფლიოს მასშტაბით 8 სექტემბერს აღინიშნება 1967 წლიდან. ეს დღე განსაკუთრებულია - გვახსენებს წიგნიერების მნიშვნელობას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ღირსება და ადამიანის უფლებები და წინ წევს განათლებული, მდგრადი და განვითარებული საზოგადოების საჭიროებას. ასევე, ამაღლებს ცნობიერებას და კონცენტრირდება წიგნიერების პრობლემების აღმოფხვრაზე.
წიგნიერება აძლიერებს და ათავისუფლებს ადამიანებს, აუმჯობესებს ცხოვრების დონეს, ავითარებს უნარ-ჩვევებს და გვანახებს შესაძლებლობების ფართო სპექტრს, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სიღარიბეს და ზრდის ჩართულობას შრომის ბაზარზე.

აქტივობის თემა: *ზღაპრის გმირები XXI საუკუნეში*

მიზანი: მოსწავლეები გაიძლიერებენ შემოქმედებით და წარმოსახვით უნარებს

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: ფერადი ქაღალდები, ფლომასტერები, ყველა ტიპის ქსოვილი

აქტივობის შინაარსი: მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დავალებას, აირჩიონ რომელიმე ზღაპრის გმირი და წარმოადგინონ მისი სიტყვიერი პორტრეტი - როგორ გამოიყურება, რა აცვია, რა არის მისი სიმბოლო (მაგ.: კონკიას სიმბოლო შეიძლება იყოს მისი ფეხსაცმელი) და ა.შ.. სიტყვიერ აღწერაში, შეთანხმების შემდეგ, მონაწილეები სხვადასხვა რესურსით იწყებენ ზღაპრის გმირების შექმნას ქაღალდების ან ნაჭრების საშუალებით. მოსწავლეებს შეუძლიათ, გმირი სიმბოლოს სახითაც წარმოადგინონ (მაგ.: კომბლეს სიმბოლო - კომბალი). გმირიც და სიმბოლოც შეიძლება იყოს თითზე ჩამოსაცმელი ფიგურა, თოჯინა ან გამოჭრილი ნახატი და სხვა.
სიტყვიერი პორტრეტის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შექმნან სცენარი თემაზე: ,,ზღაპრის გმირის მონოლოგი XXI საუკუნეში''.
მინიშნება: აუცილებელი პირობაა, გმირი იყოს დადებითი და მისი მონოლოგი პასუხობდეს ეპოქის პრობლემებსა და მოთხოვნებს.

სადისკუსიო კითხვები

1

რა წვლილი მიუძღვის წიგნიერებას განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში?

2

როგორ აუმჯობესებს წიგნიერება ცხოვრების დონეს? როგორ აძლიერებს და ეხმარება ადამიანს თავისუფლების მნიშვნელობის გაანალიზებაში?

9 სექტემბერი

განათლების თავდასხმისგან დაცვის საერთაშორისო დღე

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

შეიარაღებული კონფლიქტების მქონე ქვეყნების უმეტესობაში სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სამხედრო ბაზებად გამოყენება მუდმივ საფრთხედ რჩება, რაც მოსწავლეებს ხარისხიან განათლებაზე წვდომის უფლებას ართმევს, ხოლო მასწავლებლებს - სწავლის ადეკვატურად მიწოდების უნარს. 2020 წელს ყატარის სახელმწიფოსა და 62 თანასპონსორი ქვეყნის მიერ წარმოდგენილი 75/275 რეზოლუციის თანახმად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 9 სექტემბერი განათლების თავდასხმისგან დაცვის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მშვიდობისა და განვითარების ხელშეწყობისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველთვის უსაფრთხო და დაცული უნდა იყოს თავდასხმებისგან. საჭიროა ცნობიერების ამაღლება ამ საკითხის მიმართ, განათლების შესანარჩუნებლად და მისი თავდასხმისგან დაცვის მწვავე აუცილებლობიდან გამომდინარე.

სადისკუსიო კითხვები

შეგიძლიათ თუ არა, განიხილოთ რომელიმე შეიარაღებული კონფლიქტის მქონე ქვეყანა, სადაც განათლება მუდმივად საფრთხის ქვეშაა?

როგორ გესმით საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართალი?

რა იცით ადამიანის უფლებების შესახებ? განიხილეთ.

რას ფიქრობთ გოგონათა უფლებების დარღვევაზე ისეთ ქვეყანაში, როგორიც ავღანეთია?

აქტივობის თემა: **უსაფრთხო სკოლები**

მიზანი: მოსწავლეები გამოიმუშავებენ არგუმენტირების უნარს

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: თაბახის ფურცლები, კალამი, სადებატე სივრცე, დებატის ჩატარების ტექნიკების შესახებ ბმული: https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-12/

აქტივობის შინაარსი: მასწავლებელი კლასს სთავაზობს სადებატო თემას - ,,სკოლების უსაფრთხოების დეკლარაციაში ჩართულობა ნიშნავს თუ არა განათლების უსაფრთხოებას''.
მასწავლებელი კლასს ჰყოფს ორ ნაწილად: ერთი ჯგუფი საკითხს განიხილავს დადებითი კუთხით, ხოლო მეორე ჯგუფი ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეა.
დებატი სამ რაუნდს მოიცავს.
გახსნით რაუნდში თითოეული ჯგუფი მოკლედ გამოთქვამს თავის მოსაზრებას საკითხის ირგვლივ.
ღია დებატებში ჩართვისას, გამომსვლელები წარმოადგენენ საკუთარს და აბათილებენ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს.
დასკვნით რაუნდში, ყველა გამომსვლელს ეძლევა შესაძლებლობა, შეაჯამოს საკუთარი მოსაზრება.
მინიშნება: დებატების წარმოებისათვის საჭიროა, არსებობდეს სადავო საკითხი. სადებატო თემა წინასწარ უნდა იქნეს შესწავლილი.

ოზონის შრის შენარჩუნების საერთაშორისო დღე

16 სექტემბერი

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

ოზონის შრე ოზონის აირის მაღალი კონცენტრაციის მქონე უბანია, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად პლანეტას მზის სხივების მავნე ნაწილისგან იცავს. როგორც აღმოჩნდა, მსოფლიო მასშტაბით, რამდენიმე ხშირად გამოყოფილი ორგანული ნაერთი (ოზონდამშლელი ნივთიერებები (ODS)) უკიდურესად აზიანებს სტრატოსფეროს ამ ფენას. ოზონის შრის ამოწურვის მეცნიერულმა დადასტურებამ აიძულა საერთაშორისო საზოგადოება, მიეღო ზომები მის დასაცავად, რასაც 1985 წლის 22 მარტს ქვეყნების მიერ "ვენის კონვენციაზე ოზონის შრის დაცვის შესახებ" ხელის მოწერა მოჰყვა. 1987 წლის სექტემბერში, ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის პროტოკოლის/ოქმის შემუშავება მოხდა.
გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების თანახმად, 16 სექტემბერს ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

აქტივობის თემა: ოზონის შრე და მისი დაცვა

მიზანი: მოსწავლეები გამოიმუშავებენ ინფორმაციის დახარისხების, კატეგორიზაციისა და მთავარი თემების შედგენის უნარებს

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: თაბახის ფურცლები, კომპიუტერი, ქსეროქსი, ფერადი ფლომასტერები, ფერადი ქაღალდები;
გამოსაყენებელი ბმული: ნ.მუმლაძე, თ.მეგრელიძე ,,ოზონის შრე და მისი დაცვა''
https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_ENV_Ozone_Book_201801.pdf

აქტივობის შინაარსი: მასწავლებელი მოსწავლეების ჯგუფებს უნაწილებს სამუშაო თემებს:

- ოზონის შრის რღვევის გავლენა ჯანმრთელობასა და გარემოზე;
- ოზონის შრის რღვევა და კლიმატის ცვლილება;
- ოზონდამშლელი ნივთიერებების ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივები;
- ოზონდამშლელი ნივთიერებების უტილიზაცია: თანამედროვე მეთოდები.

ბავშვებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია, დაამუშაონ საკითხები, დაახარისხონ და ამოკრიბონ მთავარი თემები, არსებითი ნაწილი და ინფორმაცია გადაიტანონ სტიკერებზე. სტიკერები შეიძლება დაამზადონ კომპიუტერში, ასევე, დახატონ თაბახის ფურცლებზე.
გამზადებული სტიკერები წარადგინონ სასკოლო საზოგადოების/თემის წინაშე, ახსნან თითოეული თემა და ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს. სტიკერები შეიძლება გამოიკრას სკოლის ფოიეშიც/დერეფანშიც.
მინიშნება: დებატების წარმოებისათვის საჭიროა არსებობდეს სადავო საკითხი. სადებატო თემა წინასწარ უნდა იქნას შესწავლილი.

სადისკუსიო კითხვები

რამდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოზონის შრე?

შეგიძლიათ თუ არა ოზონის შრის დახასიათება?

გსმენიათ თუ არა ოზონის შრის რღვევის შესახებ? განიხილეთ.

როგორ შეგვიძლია მოვუფრთხილდეთ ოზონის შრეს?

მშვიდობის საერთაშორისო დღე

21 სექტემბერი

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

მშვიდობის საერთაშორისო დღე დაწესდა 1981 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ; ხოლო, 2001 წელს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ დღის ძალადობისა და ცეცხლის შეწყვეტის პერიოდად გამოცხადებას.
ყოველწლიურად, 21 სექტემბერს მშვიდობის საერთაშორისო დღე (IDP) მთელ მსოფლიოში აღინიშნება; იგი იწყება გაეროს შტაბ-ბინაში მშვიდობის ზარის დარეკვის ცერემონიით. ზარი მშვიდობის იმედის სიმბოლოა და წელიწადში რამდენჯერმე რეკავს, მათ შორის, მშვიდობის საერთაშორისო დღეს.

მშვიდობის დღე მნიშვნელოვანია მშვიდობის კულტურის მშენებლობის ხელშესაწყობად.

#PeaceDay

სადისკუსიო კითხვები

1 რა გახსენდებათ, როდესაც გესმით სიტყვა "მშვიდობა"?

2 რას ნიშნავს თქვენთვის მშვიდობა? რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მშვიდობა?

3 რა არის რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ერებსა თუ ადამიანთა ჯგუფებს შორის კონფლიქტს?

4 როგორ ფიქრობთ, რა როლს ასრულებს ინდივიდუალური ქმედებები მშვიდობის მიღწევაში?

აქტივობის თემა: **მშვიდობის მუზეუმი**

მიზანი: მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ემპათიის უნარი

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: თაბახის ფურცლები, კომპიუტერი, ქსეროქსი, ფერადი ფლომასტერები, ფერადი ქაღალდები;

აქტივობის შინაარსი: მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს აძლევს დავალებას - მათ უნდა შექმნან მშვიდობის მუზეუმები; უნდა მოიძიონ და/ან შექმნან მასალა სამუზეუმო სტენდებისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ მასალა მოიძიონ სახლებში, თავიანთ პაპა-ბებიებთან, მშობლებთან, მეზობლებთან. ექსპონატი შეიძლება იყოს ძველი ნივთი, რომელიც დღეს გამოუსადეგარია და მშვიდობას უკავშირდება,მაგ.: ძველი წიგნი, ომთან დაკავშირებული ნივთები, ისტორიები, რომლებსაც ასაკოვანი და/ან ომის მომსწრე ადამიანები უყვებიან, ომის დროინდელი წერილები, სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემა (CD-ზე ჩაწერილი), გაზეთებიდან ამონაჭრები, ფოტოები საოჯახო ალბომებიდან, თვითმხილველების მიერ მოთხრობილი ისტორიები და სხვ..
მინიშნება: მუზეუმის შექმნა შეიძლება ცალკე ოთახში, საკლასო ოთახში სხვადასხვა კეთელთან, დერეფანში და ა.შ..

23 სექტემბერი

ჟესტების ენების საერთაშორისო დღე

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

ჟესტების ენების საერთაშორისო დღე უნიკალური შესაძლებლობაა ყველა ყრუ-მუნჯისა და ჟესტების ენის მომხმარებელთა ენობრივი იდენტობისა და კულტურული მრავალფეროვნების მხარდასაჭერად და დასაცავად. მსოფლიოში 70 მილიონზე მეტი სმენადაქვეითებული ადამიანია. ჟესტების ენები არის სრულფასოვანი ბუნებრივი ენები, სტრუქტურულად განსხვავებული სალაპარაკო ენებისგან.
ამ დღესთან დაკავშირებული რეზოლუცია A/RES/72/161 დაფინანსებული იყო ანტიგუა და ბარბუდას მუდმივი მისიის მიერ გაეროში, თანადაფინანსებული გაეროს 97 წევრი სახელმწიფოს მიერ და მიღებული კონსენსუსით 2017 წლის 19 დეკემბერს.
23 სექტემბერს აღნიშნავენ 1951 წელს WFD-ის დაარსების დღეს, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ჟესტების ენებისა და სმენადაქვეითებულთა კულტურის შენარჩუნება.

აქტივობის თემა: **თანასწორობის ენა**

მიზანი: დაინტერესება და ემპათიის გამოხატვა ჟესტური ენის მიმართ

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: საერთაშორისო და ქართული ჟესტური ენის ლინკები (მხოლოდ ორი მათგანი მივუთითეთ, რომ ძებნა არ გაგიძნელდეთ)

- https://www.youtube.com/watch?v=Wu5oaWFUE0o
- https://www.youtube.com/watch?v=5b794h5_j8A

აქტივობის შინაარსი: მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს უყვება ჟესტური ენის მნიშვნელობაზე და აკვალიანებს, როგორ შეიძლება მისი შესწავლა სხვადასხვა რესურსის მეშვეობით. შემდეგ აძლევს 2 კვირას, რომ დაეუფლონ ჟესტური ენის ანბანს და ატარებს კონკურსს *,,თანასწორობის ენა''.*
კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. კონკურსის ობიექტურად მიმდინარეობისათვის აუცილებელია ჟესტური ენის სპეციალისტის მოწვევა.
კონკურსის I ეტაპის პირობაა - მარტივი სიტყვების წარმოდგენა ჟესტური ენის მეშვეობით კლასის წინაშე. მასწავლებელი ინიშნავს ჯგუფის ანგარიშზე და აჯამებს, რომელი ჯგუფი უფრო მეტ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს.
მომდევნო კვირას ტარდება კონკურსის II ეტაპი. ჯგუფებმა ნასწავლი ლექსიკური მარაგების საშუალებით უნდა შეადგინონ წინადადებები. რომელ ჯგუფსაც უფრო მეტი წინადადება ექნება ჯგუფის ანგარიშზე, ის გაიმარჯვებს და მოიპოვებს სკოლის დირექციის სერტიფიკატს, რომელიც მათ სადამრიგებლო კლასში ან სკოლის დერეფანში გამოიკვრება ჯგუფის ფოტოსთან ერთად.
მინიშნება: მასწავლებელმა, მოტივაციის ამაღლების მიზნით, შესაძლებელია გამოიყენოს დამატებითი მასალაც (ფილმი, რესურსი, ჩანაწერი და ა.შ.).

სადისკუსიო კითხვები

როგორ ფიქრობთ, რამდენად ინკლუზიურია ჩვენი საზოგადოება?

რა გსმენიათ ჟესტური ენების შესახებ?

ტურიზმის მსოფლიო დღე

27 სექტემბერი

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურიზმის მსოფლიო დღეს, 27 სექტემბერს, 1980 წლიდან აღნიშნავს. ეს დღე განსაკუთრებულია საერთაშორისო თანამეგობრობაში ტურიზმის როლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად; ერთგვარი დემონსტრაციაა იმისა, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს მას სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ფაქტორებსა და ღირებულებებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

თვალთახედვიდან, ასევე, არ უნდა გამოგვრჩეს COVID-19 პანდემიის გავლენა ტურიზმის სექტორზე - მისი შეფერხება, რის შედეგადაც ახალი გამოწვევები გაჩნდა. მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ განისაზღვროს და გადაფასდეს ტურიზმის სფერო და მასში ჩადებული ინვესტიციები უფრო მდგრადი და კეთილი მომავლისათვის.

აქტივობის თემა: **ჩემი ტურისტული ქალაქი/სოფელი**

მიზანი: მოსწავლეები ეუფლებიან საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, ქმნიან ტურისტულ პროდუქტს და ავითარებენ სამეწარმეო უნარ-ჩვევებს.

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: ქაღალდები, ფლომასტერები, კომპიუტერი, ქსეროქსი

აქტივობის შინაარსი: მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს დავალებას - პირველმა ჯგუფმა უნდა შეადგინოს საკუთარი უბნის, ქალაქის, მხარის ტურისტული რუკა. რუკაზე უნდა დაიტანონ ის ადგილები, რომლებიც, მათი აზრით, აუცილებლად უნდა შედიოდეს ტურისტულ მარშრუტსა და ძეგლთა ჩამონათვალში.

მეორე ჯგუფი მუშაობს იმ ლეგენდებზე, რომლებიც იმ მხარეშია შექმნილი, განთქმულია ან უცნობი. ბავშვები ლეგენდებიდან ქმნიან გამოგონილ ისტორიებს ან თავად თხზავენ ლეგენდებს.

მესამე ჯგუფი კი აგროვებს დოკუმენტურ ინფორმაციას რუკაზე აღნიშნულ ადგილებზე და ამზადებს ლიფლეტებს, სადაც ეს ინფორმაცია განთავსდება ორ ენაზე. ლიფლეტები განკუთვნილია ტურისტებისათვის.

მინიშნება: აუცილებელი პირობაა, რომ რუკაზე განთავსებული ადგილები არსებობდეს და იძებნებოდეს ადამიანების მიერ; გამოირჩეოდეს ან ისტორიული წარსულით, ან მნიშვნელოვნებით, ან სილამაზით; იყოს ტურისტებისათვის საინტერესო.

სადისკუსიო კითხვები

1

მოგწონთ თუ არა მოგზაურობა? სად გიმოგზაურიათ?

2

თქვენი აზრით, რა გავლენა აქვს ტურიზმს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე?

3

რამდენად მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროს განვითარება?



29 სექტემბერი

სურსათის ზარალისა და ნარჩენების შესახებ ინფორმირებულობის საერთაშორისო დღე

რატომაა ეს დღე მნიშვნელოვანი?

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 29 სექტემბერი სურსათის ზარალისა და ნარჩენების შესახებ ინფორმირებულობის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. იგი ემსახურება პრობლემის მნიშვნელობის ხაზგასმასა და მისი აღმოფხვრის გზების ძიებას. სურსათისა და საკვების ზარალის შემცირება საგანგაშოა, ვინაიდან გლობალურად მოშიმშილეთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, რომ აღარაფერი ვთქვათ რესურსების გაუფრთხილებლობასა და დაკარგვაზე. გარდა ამისა, ნაგავსაყრელებზე სურსათისა თუ საკვების ნარჩენების განთავსება იწვევს ისეთი აირების გამოყოფას, რომლებიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებას. ამ ყოველივემ შესაძლოა უარყოფითადაც იმოქმედოს სურსათის უსაფრთხოებასა და საკვების ხელმისაწვდომობაზე და ხელი შეუწყოს საკვების ფასებისა და ღირებულების მატებას.

საგანმანათლებლო კითხვები

- რა შეიძლება მოვიმოქმედოთ, რათა სურსათის ზარალი ავირიდოთ თავიდან?
- რატომაა გარემოსა და საკვებ პროდუქტებზე ზრუნვა აუცილებელი?
- რა უარყოფითი ეფექტები შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურებამ?

აქტივობის თემა: მზრუნველი იდეები

მიზანი: მოსწავლეები გამოიმუშავებენ იდეების გენერირების უნარს

ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

რესურსი: დაფა, ცარცი, პროექტორი, კომპიუტერი
დამხმარე ბმული: https://www.youtube.com/watch?v=fJRPid7fhrg

აქტივობის შინაარსი: მასწავლებელი კლასს აცნობს ინფორმაციას სურსათის დანაკარგების გლობალური გამოწვევის შესახებ - დიდი რაოდენობით საკვებად ვარგისი სურსათი იკარგება და/ან ნაგავში იყრება ყოველდღიურად, მაშინ როცა შიმშილის წინაშე მყოფი ადამიანების რიცხვი იზრდება.
მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ვიდეოს, რომელშიც მოთხრობილია ვერა დოუშოვას, ჩეხეთის უდიდესი სურსათის ბანკის ხელმძღვანელის, შესახებ. ასეთ ბანკებში ხვდება საკვები პროდუქტები, რომლებსაც მალე გასდის ვარგისიანობის ვადა. ბანკი კი მათ ღარიბ ხალხს სთავაზობს. ვერას ბანკი წელიწადში 22 ათას ადამიანს კვებავს და ის არ მუშაობს მოგებაზე.
მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მიაწოდონ იდეები, როგორ შეიძლება საკვებად ვარგისი პროდუქტების მაღაზიებიდან, მარკეტებიდან და კვების ობიექტებიდან მიღება და შიმშილის წინაშე მყოფი ადამიანებისათვის მიწოდება.
მოსწავლეების იდეების ბანკი ჩამოიწერება დაფაზე და დამუშავდება მათ მიერვე. კერძოდ, განსახილველი თითოეული იდეა შეფასდება დადებითი და უარყოფითი მაჩვენებლებით; მოსწავლეები ხმას მისცემენ მათთვის ყველაზე მოსაწონს და გამოავლენენ გამარჯვებულ იდეას.
მინიშნება: გამარჯვებული იდეა, სასურველია, ოფიციალურად იქნეს მიწოდებული თვითმმართველობის ორგანოებისთვის (მერია, საკრებულო) რეკომენდაციით, რომ შესაძლებლობისამებრ აღასრულონ.